ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№8 (38) აგვისტო 2010 წელი

წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ღვთით დაკისრებული მისია

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

უმაღლესი ჯილდო

2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, მისმა უწმიდესობამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II წირვის შემდეგ დააჯილდოვა ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი სუფიაზე[1] ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. ეს არის მღვდელთმთავრის უმაღლესი ჯილდო.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ულოცავს მეუფე დანიელს ამ უმაღლეს ჯილდოს და უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ მოღვაწეობას ცხუმ–აფხაზეთის მრევლისა და მთელი მართლმადიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

ღვთიმეტყველური ფილოსოფია

2010 წლის 15 სექტემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში მღვდელმსახურება აღასრულა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა). წირვას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა. გთავაზობთ მეუფე დანიელის ქადაგებას:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტესმიერ საყვარელნო მამანო, დედანო, ძმანო და დანო!

ჩვენ ყველანი ვემზადებით უდიდესი დღესასწაულის — ამ დიდებული ტაძრის აშენებიდან 1000 წლისთავის შესახვედრად, რომელსაც საქართველო და საქართველოსთან ერთად ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია იზეიმებს 14 ოქტომბერს. 1000 წელი სრულდება ამ ტაძრის აშენებიდან. რას ნიშნავს სვეტიცხოველი? სვეტიცხოველი ეს არის ტაძარი, რომელიც არის ხელთუქმნელი, რომელიც ღვთით, ღვთის მიერ არის შექმნილი და არა ადამიანის ხელით. პირველ საუკუნეში ღვთის განგებით საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა, რომელთაც ირწმუნეს ჭეშმარიტი ღმერთი და გახდნენ პირველი ქრისტიანები, მცხეთაში ჩამოაბრძანეს უდიდესი სიწმინდე, კვართი, ანუ პერანგი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. პირველ საუკუნეში ჩამობრძანებული კვართის დაფლვის ადგილზე, სწორედ აქ, აი ამ მიწაზე, წმ. ნინოს ქადაგების შედეგად მოქცეულმა საქართველომ, საქართველოს მეფემ და ქართველმა ხალხმა გადაწყვიტეს, აშენებულიყო ეს ტაძარი. ეს იმას ნიშნავდა და ნიშნავს, რომ ეს ტაძარი არის ნიშანი საქართველოში უფლის კვართის დაფლვისა, საქართველოში ამ უდიდესი წყალობის მობრძანებისა. ეს არის მცველი ამ სიწმინდისა და ამიტომაც თვითონ ტაძარიც არის ხელთუქმნელი. როდესაც მე-4 საუკუნეში დაიწყო პირველი ხის ტაძრის მშენებლობა, კვართის ზემოთ ამოსული ხისგან გაითალა ძელი, მაგრამ სვეტი მიწას ვერ მოსწყვიტეს, ვერ მოაცილეს, ვერ აღმართეს. წმ. ნინოს ლოცვის შედეგად სვეტი, ანგელოზების მიერ აღმართული, მოსცილდა მიწას და ყველამ დაინახა, როგორ გაბრწყინდა შუაღამისას სვეტი და შეიმოსა ბრწყინვალებით და სინათლით და ხალხმა შესძახა: „სვეტი ცხოველი“ ანუ, სვეტი ცოცხალი. დიახ, ეს იყო ცოცხალი, გაცოცხლებული ღვთის მადლით, ღვთაებრივი სინათლით გაბრწინებული ძელი და ეს ძელი დაეშვა, შეეგარდა მიწას და აშენდა პირველი ტაძარი. ეს არის ხელთუქმნელი ტაძარი. შემდგომ აი ამ ძველი ტაძრის ადგილას წმ. კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა აღაშენა ეს დიდებული ტაძარი და ეს არის უდიდესი წყალობა ჩვენი ერისა, ეს არის ნიშანი იმისა, რომ საქართველოზე არის გარდამოსული ღვთის დიდი ძალა და მადლი. მეორე დიდი ნიშანი ღვთის წყალობისა გახლავთ ის, რომ საქართველოს ღმერთმა მფარველად და პატრონად დაუდგინა თავისი დედა — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი

(გაგრძელება მე-4 გვ.)

1 სკუფია - წვეტიანი, რბილი ქუდი, რომელსაც ატარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნი; ეძლევა მღვდლებს ჯილდოს სახით.

(დასაწყისი მე-3 გვ.)

და ეს კიდევ ერთხელ ნიშნავს იმას, რომ ღმერთს აქვს სურვილი, რომ დაიცვას ეს ქვეყანა, აქვს სურვილი, რომ გადაარჩინოს ეს ქვეყანა. რატომ, განა ვინმეს დაცვის და გადარჩენის სურვილი არა აქვს ღმერთს? მაგრამ ვისაც ღმერთი აძლევს დიდ დავალებას, ვისაც ღმერთი აძლევს დიდ მისიას, მას სჭირდება უფრო მეტი ძალა. რა იყო ეს მისია, რა მისია დააკისრა ღმერთმა იმისთვის, რომ ასეთი დიდი ძალებით აღჭურვა ქართველი ერი? ეს იყო მისია სარწმუნოების ერთგული დაცვისა. სარწმუნოების ერთგული დაცვა ნიშნავს სარწმუნოებისათვის თავგანწირულ ცხოვრებას. ცხოვრებას, როდესაც ადამიანი აღასრულებს ყველა მცნებას, მცნებას, რომელიც გვეუბნება: რომელმან არა მოიძულოს გინა მამა, გინა დედა, გინა ცოლი, გინა შვილი, გინა ძმა, გინა და, გინა აგარაკი და ბოლოს თავისი სიცოცხლეც ჩემი სახელისათვის, იგი არა არს ჩემდა ღირს, – ამბობს უფალი. რას ნიშნავს მოიძულო? განა შეიძლება ვინმე მოიძულო და, მით უმეტეს, შენი ოჯახის წევრები. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ, როდესაც დასჭირდება ღმერთს, როდესაც დასჭირდება ჭეშმარიტებას, შენ უნდა დააყენო პირველ ადგილზე ჭეშმარიტება და შემდეგ ყველაფერი სხვა. და ამიტომ შენ უნდა უფალი შეიყვარო უპირველეს ყოვლისა და შეგეძლოს უფლის გულისთვის გაწირო ყველაფერი, გაწირო შენი სიცოცხლეც, და აი სწორედ ამას სთხოვდა და დღემდე თხოვს ამას უფალი საქართველოს. ამიტომაც იყო, რომ მთელი ჩვენი ისტორია იყო უამრავი განსაცდელის დათმენა, უამრავი ბრძოლის და ომის გადატანა, სულ ომის ქარ–ცეცხლში იყო საქართველო. და იტყვის ვინმე: მაშ, როგორღა უყვარს უფალს საქართველო, თუ ასეთ ტანჯვაში იყო. დიახაც, სწორედ ეს ტანჯვა ღვთის გულისათვის, მამულისათვის, მოყვასისათვის ადამიანს ამზადებს მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. ხოლო ტანჯვის გარეშე ამქვეყნიური ტკბობა, ამქვეყნიური განსვენება ადამიანს სულიერად აღარიბებს და აცივებს. და ეს დიდი მისია, რომ ყოფილიყო მოწამე ერი. საქართველომ შეასრულა და ასრულებს დღესაც. დღეს ყველა ჩვენგანის მაგივრად მოწამეობას აღასრულებს საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II. იგი არის ხილული მოწამე საქართველოსთვის. იგი თავის მხრებზე ატარებს ჩვენს უმძიმეს ცოდვებს, ცოდვებს, რომლებსაც შეუძლია უფსკრულში და ჯოჯოხეთში დანთქას საქართველო, მაგრამ ეს არ ხდება, იმიტომ რომ ჩვენ გვყავს ასეთი მოწამე, ასეთი შეწირული უფლისათვის პიროვნება, რომელიც ავედრებს ღმერთს საქართველოს და ევედრება, რომ ღმერთმა საქართველო დაიფაროს და არ დასაჯოს თავისი ცოდვებისათვის. ამიტომ ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, დავდგეთ ჩვენი პატრიარქის გვერდით, და შევუმსუბუქოთ მას ეს ჯვარი. ხომ ვხედავთ, რომ არ შეიძლება ასეთი მძიმე ჯვრის ტარება ერთი ადამიანისთვის. იგი ჩვენ არ დაგვამადლის ამ ჯვრის ტარებას არასოდეს, იგი მოყვარული მამაა, მბრუნველი მამაა, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა დავუბრუნდეთ დედაეკლესიის წიაღს, ჩვენც ხომ უნდა ვატაროთ ის მძიმე ჯვარი, ჩვენც ხომ უნდა მოვინანიოთ ცოდვები, მარტო პატრიარქმა ხომ არ უნდა ილოცოს ჩვენი ცოდვების მოტევებისათვის და მარტო მან ხომ არ უნდა ზიდოს ეს სიმძიმე. ყველამ უნდა ვზიდოთ და აი ამისთვის მოგვიწოდებს ჩვენ დღეს უფალი, ამისთვის მოგვიწოდებს ღვთისმშობელი. გავერთიანდეთ ყველანი ღვთის ტაძარში, რაც ნიშნავს ჯვრისმტვირთველობას, რაც ნიშნავს უფლის მცნებების შესრულებას, რაც არ არის ადვილი, მაგრამ სამაგიეროდ ამ სიმძიმეს მოყვება დიდი სიტკბოება, ისევე, როგორც იმ სიტკბოებას, რომელიც უფლისგან არ არის, ცოდვისმიერია, მოყვება დიდი სიმწარე. უფალი ბრძანებს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ აი ეს უღელი უნდა აიღოს საქართველომ. როგორც წარსულში ჩვენ მოწამეობრივად ვიცხოვრეთ და გადავრჩით და მოვედით დღემდე, დღესაც სწორედ ასეთი თავდადებული ცხოვრება სჭირდება საქართველოს. მხოლოდ მაშინ გამთლიანდება და გაბრწყინდება ივერია.

გუშინ მისი უწმიდესობის ლოცვა–კურთხევით მთელ საქართველოს ეუწყა კიდევ ერთი დიდი საქვეყნო საქმე – იწყება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის, ივერიისად წოდებულის, ტაძრისა და მონასტრის მშენებლობა მახათას მთაზე. ეს არის ელიას მთის გვერდით, სადაც სამების ტაძარია. ეს იქნება მთელი ქართველი ერის გამთლიანება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თაყვანისცემაში, მის სიყვარულში, რომ ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ ეს ტაძარი, ყველამ ერთად და არის მოწოდება, რომ ყველა გავერთიანდეთ ლოცვით, ფიზიკურად შრომით, თანხით, შეწირულობით, ვისაც რა შეუძლია. ყველა უნდა გავერთიანდეთ და როგორც პატრიარქმა ბრძანა, ეს იქნება ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი. რომელია პირველი? ეს არის ყოვლაწმიდა სამება. დიახ, სამებას უწოდა პატრიარქმა ქართველი ერის ავტოპორტრეტი. ამით მან უთხრა ქართველ ერს, ნუ გეშინია საქართველოვ, შენში არის მადლი, შენ შეგიძლია ისევ გამთლიანდე და გაბრწყინდე, იმიტომ რომ შენ ააშენე სამების ტაძარი. სინამდვილეში ეს არის ჩვენი პატრიარქის პორტრეტი. მისი ლოცვით აშენდა სამება, მისი თავგანწირ-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

ვით აშენდა სამება და დღეს ჩვენ უნდა შევუმსუბუქოთ ეს ტვირთი პატრიარქს და ყველა უნდა გავერთიანდეთ ლოცვით. ჩვენი ლოცვა არ იქნება ნაყოფის მქონე, თუ იგი არ იქნება უანგარო, არ იქნება წმინდა. ამას სჭირდება ხშირად ზიარება, ხშირად მონანიება, ხშირად საკუთარი თავის განკითხვა და არა მოყვასისა. აი, სწორედ ეს არის, რაც აგვაშენებინებს ღვთისმშობლის ტაძარს და ეს არის, რაც დაგვაბრუნებს აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ტაო–კლარჯეთში, ჰერეთში და ჩვენ ვიხილავთ გამთლიანებულ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს და ვიხილავთ გამრავლებულ, როგორც ჩვენი პატრიარქი იტყვის, 15–მილიონიან საქართველოს. ვიხილავთ, უკეთუ ჩვენ ვიქნებით ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები და მე მწამს, რომ ჩვენ შევისმენთ უფლის კურთხევას, ღვთისმშობლის კურთხევას და ჩვენი საყვარელი პატრიარქის ლოცვა–კურთხევას და ჩვენ ვიქნებით წმინდა ერი, როგორც ეს იყო წარსულში. ჩვენ შეგვიძლია ეს, ჩვენში არის ამის ძალა. ჯერ კიდევ ცოცხალია ქართველ ადამიანში რწმენა და სიყვარული, მაგრამ მას სჭირდება გაძლიერება, განკურნება სჭირდება, გაჯანსაღება სჭირდება, სრულყოფა სჭირდება. აი ამისთვის ვართ ჩვენ მოწოდებულნი და ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში და დავბრუნდებით არა ომით, არა სიძულვილით, არა შურისძიებით, არამედ შერიგებით, სიყვარულით დავბრუნდებით. ჩვენ უნდა ვილოცოთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის იმიტომ, რომ ჩვენ მეტი მოგვეცა, ჩვენ მეტი მოგვეთხოვება. თუ რამე ცუდი მოხდა საქართველოში, მეტად ჩვენ ვართ დამნაშავე, როგორი დიდი დანაშაულიოც არ უნდა ჰქონდეს სხვებს, ჩვენ ყველაზე მეტი მოგვეცა. ჩვენ არ გვეპატიება ურწმუნოება, ჩვენ არ გვეპატიება მე–20 საუკუნეში საშინელი ღვთისმგმობი ცოდვები – ტაძრებისა და ეკლესია–მონასტრების ნგრევა, სასულიერო პირთა შეურაცხყოფა და ფიზიკური განადგურება. სარწმუნოების აბუჩად აგდება არ ეპატიება საქართველოს, თუ მან არ მოინანია. და დღეს პატრიარქი ინანიებს ჩვენს მაგივრად და ყველამ უნდა მოვინანიოთ. სანამ ამ მძიმე ტვირთს არ გადავაგორებთ ჩვენი მხრებიდან, ამ ცოდვების ლოდებს, მანამდე ძნელი იქნება საქართველოს გამთლიანება. და ეს უნდა შეიგნოს ქართველმა ერმა და დაუბრუნდეს დედაეკლესიას, დაუბრუნდეს იმ წმინდა გზას, რომლითაც ჩვენი წინაპრები მოდიოდნენ და რომელსაც ეწირებოდნენ. გვახსოვდეს, რას ნიშნავს ქართველობა. როგორც წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) იტყოდა, „ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის.“ აი ეს არის საქართველოს ფორმულა: ჯვარცმული ერი ქრისტესთვის.

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, განსაკუთრებით მოგმართვათ მათ, ვინც დღეს ტაძარში მობრძანდით. თქვენ იცით, რომ ყოველი დღე მაისიდან მოყოლებული სრულდება სამღვდელმთავრო წირვები. ყოველი მღვდელთმთავრის წირვას ესწრება ამ მღვდელთმთავრის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი სხვა ეპარქიის სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად და აი დღეს ცხუმ–აფხაზეთის სამღვდელოება და მრევლია შეკრებილი და ასევე, რასაკვირველია, მცხეთა–თბილისის სამღვდელოება და მრევლიცაა და მე მინდა გითხრათ, ვინც მობრძანდით აქ, უპირველეს ყოვლისა, სამღვდელოება, მინდა მადლობა ვუთხრა მათ. ეს არის, შეიძლება ითქვას, თავდადებული სამღვდელოება, რომელიც მიუხედავად უდიდესი თავისი ვალდებულებისა მცხეთა–თბილისის ეპარქიის წინაშე, ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი დევნილი მოსახლეობა დაუბრუნდეს დედაეკლესიის წიაღს, იყოს სულიერად მდიდარი და ძლიერი. აქ არის სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც ამ საქმეს ემსახურება უკვე რამდენიმე წელია მოგზაურობს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატთან ერთად დევნილთა დასახლებაში და ცდილობს, რომ თქვენ ყველანი იყოთ უფალთან და მე მინდა მათ მადლობა ვუთხრა. მე მინდა ასევე დაგლოცოთ მრევლი, თქვენი სახით მთელი მრევლი ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის და მერე სრულიად საქართველოსი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ვინც დღეს აქ მოხვედით, თქვენ ღმერთმა მოგიყვანათ, თქვენ მოგიყვანათ იმისთვის, რომ მიგელოთ ეს დიდი მადლი და ძალა. თქვენ ღმერთმა გამოგარჩიათ, ღმერთმა ძალა მოგცათ აქ მოსვლისა. ამიტომ გილოცავთ ამ წყალობას, დიდ კურთხევას. თქვენ დიდი კურთხევა მიიღეთ ყველამ, ვინც აქ მობრძანდით და ეს არის მიზეზი იმისა, რომ თქვენში არის სწრაფვა ღვთისაკენ და მინდა, რომ გაგაძლიეროთ ღმერთმა ამ სწრაფვაში და ყველა ლოცვა, რომელიც თქვენ აღავლინეთ თქვენი ოჯახებისთვის, საქართველოსთვის, ღმერთმა შეისმინოს და ღმერთმა კეთილად აღგვისრულოს და კეთილად გამოიღოს ნაყოფი ჩვენმა ლოცვებმა. კიდევ ერთხელ ყველას დიდი სიყვარულით გილოცავთ დღევანდელ დღეს და გლოცავთ. დღეს ჩვენ ყველანი იმ დიდ სიწმინდეში ვართ გახვეული, რასაც ჰქვია უფლის კვართი და ეს არის ის, რაც გადაგვარჩენს ჩვენ.

მხნედ იყავით, და განძლიერდით და ესევდით უფალსა. კურთხევა უფლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარეობითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ლირსეული მამულიშვილი



თხემით ტერფამდე აფხაზო, თხემით ტერფამდე ქართველო, წებელდის მრავალსაუკუნოვან მარშანთა თავადიშვილო, მეცნიერების და კაცობის აკადემიკოსო, ბატონო ლორიკ,

უეცარმა ტრაგიკულმა სიკვდილმა წაგართვათ სიცოცხლე, მაგრამ ვერ წაგართვათ უკვდავება, რომელიც სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეთ. თქვენზე, როგორც სახელმწიფო მოღვაწეზე და ცნობილ მეცნიერზე, ქვეყნის ბედით შეჭირვებულ კაცზე, ვაჟკაცობის ეტალონზე, ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ დღეს, გლოვის წუთებში, მხოლოდ თქვენს დიდ აფხაზობაზე მინდა საჯაროდ განვაცხადო.

დროდადრო საქართველოში იბადებიან დიდი მამულიშვილები, რომლებიც ისტორიას შემორჩებიან, როგორც ქართულ–აფხაზური ერთიანი ისტორიული მომავლის მშენებლები. თქვენ ამ კოჰორტის გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდით.

გარეშე ძალების, იმპერიულ ექსპანსიასა და ცრუპატრიოტ პოლიტიკოსთა ამბიციებს შეწირული ქართველთა და აფხაზთა გაუცხოების გამო ბევრი რამ გადაფასდა და ბევრმა ღირებულებამ ფასი დაკარგა. თურაშაულის პატრონები პანტას ვეძებდით ტყეში. უსამართლობის მძიმე განცდის მიუხედავად, თქვენ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეუპოვრად და თავგანწირულად იცავდით ჭეშმარიტ აფხაზთა ისტორიულ ეროვნულ ღირებულებებს, ქართველთა და აფხაზთა ძეძუმტეობის ფენომენს. ვიდრე სხვები რევანშზე ოცნებობდნენ, თქვენ მშვიდობის მშენებელ თანამოაზრეებს კრებდით და აერთიანებდით ენგურს გაღმა–გამოღმა.

თქვენი სტრიქონების ერთ–ერთი პირველი მკითხველი მე გახლდით და ზოგიერთი ამონარიდის ხმამაღლა თქმის უფლებას მივცემ ჩემს თავს. თქვენ ბრძანებდით: „ვაპატიოთ ეს ომი ერთმანეთს, რათა არ განმეორდეს“, „აფხაზთა და ქართველთა მეგობრობას, სამწუხაროდ, ორივე მხრიდან ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ გზა ერთმანეთის გულებისაკენ“, „ჩვენ გვჯერა, რომ წარსულის შეცდომების შეგნება არ უნდა ჰყოფდეს, არამედ აერთიანებდეს ჩვენს ხალხებს“, „მე აფხაზი ვარ და ამაყად ვამბობ, რომ ჩემი საქართველო აფხაზეთიდან იწყება“, „გვეყოფა, ჩვენ უნდა დავიწყოთ ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან. დავანებოთ თავი იმას, თუ ვისი ბრალია, ვინ როგორ და რანაირად მოიქცა, დავსხდეთ ქართველები და აფხაზები და ვისაუბროთ, ჩვენ შუამავალი არ გვჭირდება. ახლა არის ფსიქოლოგიურად შეცვლილი მდგომარეობა... ხალხი მზად არის იმისათვის, რომ ერთმანეთს შეხვდეს“...

ძვირფასო ბატონო ლორიკ, რამდენი რამის გაკეთება ვერ მოასწარით. თქვენი პრაგმატიზმი, თქვენი ნიჭი და გენი ქართველთა და აფხაზთა დიდ შერიგებას, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ მოემსახურა.

მჯერა, რომ უთუოდ მალე გაივლის ეს ტკივილიანი ჟამი, მაინც გათენდება გრძელი ღამე... და ჩვენს სამკვიდროში იმ ნანატრ დიდ სუფრას ენგურიდან ფსოუმდე გავშლით და თქვენი სული ამ დიდებულ ლხინს ზეციური საქართველოდან უთუოდ საპატიო თამადად მოევლინება. მოძმე აფხაზი ხალხი ეთნოისტორიულ სივრცეს არ დაკარგავს და უბიხების ბედს არ გაიზიარებს. თქვენ კი მადლიერი შთამომავლობა ძეგლს დაგიდგამთ, ქუჩებს და მოედნებს თქვენს სახელს მიაკუთვნებს.

ბატონო ლორიკ, თქვენ ქართულ–აფხაზური სახალხო დიპლომატიის მამამთავრად შეგრაცხავენ, თქვენი სახელობის პრემიები დაარსდება თბილისსა და სოხუმში, თქვენს სახელს დაარქმევენ ახალშობილებს.

გამიჭირდება უთქვენოდ, ბატონო ლორიკ! ორმოცი წლის მანძილზე მე ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან.

უფალს შევთხოვ, მოგიტევოთ ყოველივე შეცოდებანი და დაამკვიდროს თქვენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

სამშობლოს დიდო ჭირისუფალო, დაგვლოცეთ თქვენი ტრადიციული სადღეგრძელოთი და ლამაზი ხმით: „სადღეგრძელებელს, უდღეგრძელებელს და მადღეგრძელებელს გაუმარჯოს“...

მე კი თქვენით ყოველთვის ვიამაყებ.

ზურაბ ერძვანია,
აფხაზეთის ექსპრემიერ-მინისტრი,
გენერალ-მაიორი
თბილისი, 13 აგვისტო,
2010 წელი.

* * *

ძნელია გამოთხოვება ადამიანთან, რომლის მოღვაწეობა აფხაზი ხალხის საკეთილდღეოდ მისი ცხოვრების, მისი არსებობის არსსა და მიზანს წარმოადგენდა. ასე იყო მუდამ – მშვიდობიან დღეებში, დიდი ხნით ადრე, სანამ ომის მრისხანე დღეები რეალობად იქცეოდა, მაშინაც, როცა ომის ქარ–ცეცხლში გახვეულ სოხუმში ადამიანებს ეხმარებოდა, და არამარტო აფხაზებს. ასე იყო დევნილობაში, როცა იგი ნებისმიერ საშუალებას იყენებდა, რათა სიმართლე ეთქვა თავისი ხალხის, მისი საქართველოს ტრაგედიის შესახებ, რომელიც „ფრთამოტეხილ ფრინველად“ იქცა.

ლორიკ მარშანია იყო მებრძოლი, მაგრამ მიუხედავად მისი პირდაპირობისა, შეურიგებლობისა ყოველივე მდაბალის, უსახურის და განუკითხაობის მიმართ, იყო ადამიანი, რომელსაც გულწრფელად და ნაზად უყვარდა ოჯახი, მეგობრები, თანამოაზრეები, საერთოდ, ადამიანი, მოყვარული იყო ხელოვნებისა, ხალხური მუსიკისა და ყოველივესი, რაც მისი სულიერი სამყაროსათვის ძვირფასი იყო.

დღეს იგი ცოცხალთა შორის აღარაა. ჩვენ, შესაძლოა, ჯერ ვერც ვაცნობიერებთ ამ დანაკარგის მთელ სისრულესა და სიმძიმეს და ამასთან, ჩვენ, ცოცხლებმა, არ უნდა დავხაროთ ის ალამი, რომელიც მას ხელთ ეპყრა.

სვეტლანა ძეცბა,
აფხაზეთის სულიერებისა და
კულტურის ცენტრის
თავმჯდომარე
ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე

ფრაღმისია ფრაკეღღება

2010 წლის ივლისის ბოლოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ეგიდით ტაბახმელაში მოეწყო დევნილ პედაგოგთა გადამზადების ერთთვიანი კურსების მეხუთე ეტაპი. პროგრამა ითვალისწინებდა ლექცია-სემინარების ციკლს, ეკლესია-მონასტრების მოლოცვას, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრას. ამჯერად პედაგოგებთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი ელდარ გეწაძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი დარეჯან მახაშვილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი, პიანისტი და მომღერალი სალომე ჯიქია, კინოცენტრმა „აფხაზეთმა“ აჩვენა გელა კანდელაკის დოკუმენტური დილოგიის „ხმელეთის 0,047%“ პირველი ფილმი „სოფელი“.

ჩჭენებშჩები

ამ ცოტა ხნის წინ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში მოეწყო შეხვედრა დევნილ ახალგაზრდა შემოქმედებთან. მოზარდებმა წარმოადგინეს ნახატები, ნაქარგობები, წაიკითხეს საკუთარი ლექსები და მოთხრობები.

გთავაზობთ 137–ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის, გაგრელი ანა გეგეჭკორის ნოველას

ზღვა ჩვენთვის ღელავს...

თენდება. მზის სხივები ანათებს ღამის სიბნელეს. მზიდან წამოსული ერთი სხივი იქვე, კლდის პირას, პატარა, უსუსურ იას ეცემა და აღვიძებს. მერე სხივი ეცემა ხეებს, მინდვრებს, წყლებს... და ასე, თითოეული სხივი აღვიძებს ბუნებას. დილა ყოველთვის სიცოცხლით აღსავსეა, ყოველ დღეს კი იმედი მოაქვს. დღევანდელი დღეუფრო მშვიდობიანია, ვიდრე გუშინდელი, მაგრამ ხვალ კიდევ უფრო ლამაზი და ნათელი იქნება. საუბრობენ მზე და ბუნება დიდი სიშორიდან:

– გამარჯობა, მზეო!

– გაგიმარჯოს, ბუნებავ!

... სალამი ახალ და ნათელ დღეს! მშვიდობის დღეს! იმედის დღეს! საოცარი რამაა დილით მზის ამოსვლის შეხვედრა და იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენთვის ეს დილა გათენდა, შენ ამ დღეს იცხოვრებ, შენ კიდევ შეგეძლება მოეფერო და მოესიყვარულო ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საქართველოს, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

ოდითგანვე გვიტევდნენ და გვებრძოდნენ. ჩვენც არ ვნებდებოდით, ღირსებას ვიცავდით!.. ერთი ტკივილი უკვე 17 წელია ცრემლად, მოგონებად, აუხდენელ ოცნებად, მონატრებად გვექცა – ეს აფხაზეთია... იცით? მე მესმის მისი ზღვის ტალღების ხმა – ის ზღვა ჩვენთვის ღელავს!... მისი ცა, ჰაერი, მინა, ქუჩები, ტაძრები, ბუნება – დავკარგეთ... დაგვაკარგვინეს! ყველაფერს შორიდან ხელს ვხვევთ და ვეფერებით... ორ მოძმე ერს, აფხაზებს და ქართველებს, ერთმანეთში შუღლი ჩამოგვიგდეს და ჩვენც ბრმად ერთმანეთს სულში ჩავაფურთხეთ, ვიღაცის დაწერილ „სცენარში“ კარგად ვითამაშეთ, უშეცდომოდ! ერთმანეთი არ დავინდეთ!...კიოდა აფხაზეთი! კიოდა სოხუმი, გუდაუთა, გაგრა, გალი, ოჩამჩირე! ყვიროდა ქართველი და აფხაზი, ოღონდ არა ერთად... ცალ-ცალკე! სისხლიანი იყო აფხაზეთის ქუჩები, ტყვიები ცვიოდა, სიკვდილი ბობოქრობდა. უსამართლობა ამაყად დადიოდა ქუჩაში და უხაროდა! იძახდა: „შეხედეთ, რა დაემართათ ამათო!“ – და მერე გულიანად ხარხარებდა. ის დიდი ქვეყანა კი მხიარულობდა... ქართველებმა და აფხაზებმა წავაგეთ ომი... 17 წელი დევნილობაში, ტკივილში, ცრემლში!... სისხლი, გვამები, ტყვიები!.. შვილები, მამები, ცოლები, ქმრები, ახლობლები და... და დედები, შვილმკვდარი დედები! შავით შემოსილი დედები! რატომ გვიქციეთ, დიდი ქვეყნის შვილებო, ყველაფერი –არაფრად?! მეგობრობა – მტრობად?! სიცოცხლე – სიკვდილად?! ბედნიერება – უბედურებად?! რატომ აგვიკვნესეთ და აგვიტირეთ ჩვენი საქართველო?! ოჰ, ღმერთო,

კიდევ როდემდის, როდემდის უნდა იდინოს ქართველის ცრემლმა მდინარედ?.. არ იცნობთ ისევ თქვენ, დიდი ქვეყნის შვილებო, ქართველების ხასიათს?! არ იცით, რომ მანამდე ვიბრძოლებთ, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, სანამ ჩვენს სამშობლოს დასჭირდება!.. ქართველებმა და აფხაზებმა ვერ შევძელით ხელიხელგადახვეულები გამოვსულიყავით და

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

გვეთქვა: „დამშვიდდი, სამშობლოვ, შენთან ვართ!“ რამდენი დედა დასტირის თავისი შვილის ჯერ კიდევ უპოვნელ, დაუმარხავ სხეულს! ბიჭები... ჩვენი ღირსებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ბიჭები, ქართული სულისა და სხეულის მატარებლები, რომლებიც იმის ღირსადაც კი არ ჩათვალეს, რომ მშობლებთან თოჯინასავით ნაწილ–ნაწილ დაშლილი კი არა, ერთიანი მიესვენებინათ! რამდენი ადამიანი მიდის თავისი ცოცხალი თუ მკვდარი შვილების, მეგობრების, ახლობლების, მშობლების, ძმებისა და დების, უბრალოდ, ნაცნობების მოსაძებნად. მიდიან ყველგან და ყველასთან და რამდენჯერ ბრუნდებიან უკან მარტო!..

მშვიდობით მოვალთ შენამდე... ტირის აფხაზეთი... გესმით მისი ლოცვის ხმა? იცით, რას სთხოვს ღმერთს? ჩვენს დაბრუნებას... სთხოვს, რომ ქართველი და აფხაზი ძველებურად მეგობრული და მოსიყვარულე ნახოს... ოჰ, აფხაზეთო, ჩვენო მიწავ... ჩვენო აუხდენელო ოცნებავ...

ვიცი, დრო გაივლის და ისევ გვექნება აფხაზეთის მონატრება, ისევ იცოცხლებს მისი სიყვარული ჩვენში, ისევ მოგვგვრის მისი მოგონება ცრემლს, არაერთხელ ვნახავთ სიზმარში და ცხადში მასზე ოცნებას გავაგრძელებთ. მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ერთად, ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს...

რა გვტკივა?! რაზე ვოცნებობთ ჩვენ, საკუთარი მიწიდან დევნილები?! მასზე, სანუკვარ აფხაზეთზე... ახლოს რომ გვყავს და შორიდან რომ ვუცქერთ, მის ჰაერზე, ასე ძლიერ რომ გვჭირდება სუნთქვისათვის, და რომ ვკოცნით, რომ ვეფერებით!

მიყვარხარ, აფხაზეთო! გვიყვარხარ, აფხაზეთო! ტკივილამდე გვიყვარხარ, ჩვენო საქართველოვ, ჩვენო ძვირფასო და ძლიერ ტანჯულო მიწავ! გვენატრები და შორიდან გეფერებით. შორიდან შემოგხვევთ ხელებს, შორიდან ჩაგიხუტებთ გულში და გეტყვით: „გვიყვარხარ, აფხაზეთო!“

ღვთისმშობელი შეგვეწევა, უფალი დაგვიფარავს, ლოცვითა და ვედრებით საქართველო გადარჩება, გამთლიანდება! სულ ცოტაც, აფხაზეთო, სულ ცოტაც, ჩვენ მალე მოვალთ!

... და ისევ ის ბუნება და მზე, შორიდან რომ საუბრობენ:

– გამარჯობა, მზეო!
– გაგიმარჯოს, ბუნებავ!
– დილა მშვიდობისა, ჩემო საქართველო!

და აი ისევ ის ზღვა, ის ტალღები... იმ ზღვის ტალღები, ჩვენთვის რომ ღელავს!..

საეკლესიო კალენდარი

1 სექტემბერი (ოთხშ.) – მოწ. ანდრია სტრატილატის და მისთანა 2593 მოწამეთა ხსენება (284-305წ.);

2 სექტემბერი (ხუთშ.) – წინასწარმეტყველ სამუელის ხსენება (XI ს. ქრისტეს წინ);

3 სექტემბერი (პარ.) – ღირ. თადეოზ სტეფანწმინდელის (VIს.) და მოციქულ თადეოზის, სამოცდაათთაგანის ხსენება (44წ.);

8 სექტემბერი (ოთხშ.) – მოწ. ანდრიანეს და ნატალიას ხსენება (305-311წ.);

9 სექტემბერი (ხუთშ.) – ღირ. პიმენი დიდის ხსენება (დაახ. 450წ.);

10 სექტემბერი (პარ.) – წმ. მოწამე დედოფალ შუშანიკის ხსენება (475წ.);

11 სექტემბერი (შაბ.) – თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესი. მარხვა!

13 სექტემბერი (ორშ.) – დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა (395-408წ.);

14 სექტემბერი (სამშ.): – გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტისა;
– ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება მიასინეს სავანეში (864წ.);

17 სექტემბერი (პარ.) – ღირ. სვიმეონის, გარეჯის წინამძღვრის, წინასწარმხედველისა და საკვირველთმოქმედის ხსენება;

18 სექტემბერი (შაბ.) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობელთა, წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედის ხსენება (Iს.);

19 სექტემბერი სულთმოფენობიდან მე-17 კვირა – ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა (IVს.);

21 სექტემბერი (სამშ.): – შობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა;
– წმ. აღმსარებელთა – იოანეს (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) ხსენება;
– დიდუბობა, გელათობა, შუამთობა, ბეთანიობა.

22 სექტემბერი (ოთხშ.) – წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისასთა იოაკიმ და ანას ხსენება;

24 სექტემბერი (პარ.) – კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა – 300 არაგველთა და სასულიერო და საერო პირთა ხსენება (1795წ.);

25 სექტემბერი (შაბ.) – წმ. მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის ხსენება;

26 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-18 კვირა: – ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმ. ტაძრის განახლება იერუსალიმში (335წ.);
– დიდმოწამე საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენება (1624წ.);

27 სექტემბერი (ორშ.) – ჯვართამაღლება. წმ. იოანე ოქროპირის მიცვალება (407წ.);

29 სექტემბერი (ოთხშ.) – მოწ. ორთა ძმათა – ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუ ქალაქში წამებულთა ხსნება (808წ.);

1 ოქტომბერი (პარ.) – წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661წ.).

ჩვენი მოძღვარი
ინდიქტიონი

ძველი სტილით I სექტემბერს დედა ეკლესია, ეკლესიური ახალი წლის ანუ **ინდიქტიონის** დაწყებას აღნიშნავს და იკურთხება **გვირგვინი წელიწადისა.**

ინდიქტიონი — (ბერძნ. indiktios, ლათ. indictio – გამოცხადება, განცხადება) ქრისტიანულ ქვეყნებში წელთაღრიცხვის 15-წლიანი ციკლის სახელწოდებაა.

ქრონოლოგიურ და საპასექო გამოთვლებში ორი სახის ინდიქტიონი ფიგურირებს: დიდი და მცირე.

დიდი ინდიქტიონი — 532-წლიანი ციკლია და მას სააღდგომო **(ანუ 532-წლიანი მოქცევის)** ციკლსაც უწოდებენ, რომლის გასვლის შემდეგაც მეორდება მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების განლაგება, ანუ (ხდება მათი თანხვედრა და შესაბამისად) აღდგომის დღესასწაული ხდება პერიოდული. დიდი ინდიქტიონი ოცდარვა 19-წლიან „მთვარის ციკლსა“ და ცხრამეტ 28-წლიან „მზის ციკლს“ მოიცავს (532=28X19).

მცირე ინდიქტიონი — 15-წლიანი ციკლია, რომელიც თუმცა კი უშუალოდ არ გამოიყენება საპასექო გამოთვლებში, მაგრამ მისი საშუალებით „დიდი მოქცევის“ სრული პერიოდი (15X532=7980 წელი) განისაზღვრება, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეშობამდე განვლილი პერიოდის გამოთვლასთან.

აქვე დავძენთ, რომ **ინდიქტი** არის პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის რიგით ნომერს მიუთითებს 15-წლიან ციკლში („მცირე ინდიქტიონში“).

ქართული დასაბამისათვის (5604) **ინდიქტის** დასადგენად საჭიროა ახალი წელთაღრიცხვის წელს მივუმატოთ 9 და მიღებული ჯამი გავყოთ 15-ზე, ნაშთი ინდიქტის (ანუ წელთაღრიცხვის 15-წლიან ციკლში წლის რიგითი ნომრის) მაჩვენებელი იქნება. ასე **მაგალითად:** 2010 წლის ინდიქტის დასადგენად ზემომითითებული არითმეტიკული მოქმედებები ჩავატაროთ — (2010+9):15=134+9. ამგვარად, ნაშთი არის 9, რაც გახლავთ კიდეც 2010 წლის ინდიქტის მაჩვენებელი. მსგავსი მეთოდით გამოითვლება ინდიქტი **ბიზანტიური** (5508), **ალექსანდრიული** (5492), **რომაული** (4713) თუ რომელიმე სხვა დასაბამისათვის.

პაპიროლოგიის მონაცემებით ინდიქტიონებით წელთაღრიცხვა რომის პერიოდის ეგვიპტეში ჩამოყალიბებულა. რაც შეეხება ბიზანტიას, ქრისტეშობიდან 312 წელს წმიდა მეფემ კონსტანტინე დიდმა ოფიციალურად შემოიღო დროის ათვლა ინდიქტებით, რომელიც 15-წლიან პერიოდს მოიცავდა, სამ ხუთწლედად იყოფოდა და იმპერიაში ხარკის ასაკრეფად იყო დაწესებული.

ინდიქტურ წელთაღრიცხვაში გარკვევისათვის აუცილებელია ასევე ინდიქტის დაწყების თარიღის გათვალისწინებაც. ასე მაგალითად:

— ბიზანტიაში 23 სექტემბერი, ხოლო IV საუკუნის შუა წლებიდან 1 სექტემბერი;

— რომში 1087 წლამდე – 1 სექტემბერი, შემდეგ კი 1 იანვარი (ან 25 დეკემბერი);

— ინგლისსა და გერმანიაში XIV საუკუნის ბოლომდე – 24 სექტემბერი;

— რუსეთში XVIII საუკუნემდე –1 სექტემბერი. XVIII საუკუნეში შეწყდა ინდიქტებით წელთაღრიცხვა და იგი მხოლოდ საეკლესიო აქტებში შემორჩა.

— რაც შეეხება საკითხს ჩვენში ამ თარიღის შემოღებისა, დიდი ქართველი მეცნიერის **კორნელი კეკელიძის** მოკვლევით: — „ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ჩვენში დარჩა ძველებური **აგვისტოს** წელიწადი, რომელმაც გამოყენება ჰპოვა ლიტერატურულ, კერძოდ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. მაგრამ ამასთან ერთად ქრისტიანობამ ჩვენში გზა გაუკაფა მეორე სისტემის წელიწადს — **სექტემბრისას ანუ ინდიქტურს**, რომელიც წელიწადს პირველი სექტემბრიდან ითვლიდა. ამ წელიწადის არსებობა რომისა და საბერძნეთის სამყაროში მეოთხე საუკუნეში დამოწმებულია **ამბროსი მედიოლანელის** და **ათანასი ალექსანდრიელის** თხზულებებით, აგრეთვე მეხუთე საუკუნის ერთი კოპტური ქადაგებით. ამის შემდეგ ზოგი ანგარიშობდა ჩვენში ძველებურად, აგვისტოს

წელიწადის გამოყენებით, ზოგი კიდევ ახლებურად, სექტემბრის ანუ **ინდიქტური** წლის მიხედვით“.

ბიზანტიაში ინდიქტიონის დაწყება ახალი წლის დღეს — 1 სექტემბერს ემთხვეოდა. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ თარიღთან უშუალოდ არის დაკავშირებული **საეკლესიო წლის** დასაწყისი.

საეკლესიო წელიწადი არის პასქალია-კალენდრის წლიური ციკლის უძრავი (უცვლელი) წრე, რომლის მეშვეობითაც „უძრავ“ დღესასწაულთა მონაცვლეობა რეგულირდება და იგი პირობითად სამ პერიოდად იყოფა.

I — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობიდან (უფრო ზუსტად, საეკლესიო ახალი წლიდან — ძვ. სტილით პირველი სექტემბრიდან) მაცხოვრის შობამდე, რომელიც ძველი აღთქმის პერიოდს, ანუ დასაბამიდან ძე ღვთისას განკაცებამდე დროის მონაკვეთს შეესაბამება;

II — მაცხოვრის შობიდან ამაღლების დღესასწაულის (აღდგომიდან მე-40 დღე) წარგზავნამდე, რომელიც მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას ეთანადება;

III — სულთმოფენობიდან (აღდგომიდან 50-ე დღე) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წარგზავნამდე, ანუ მიწიერი, მებრძოლი ეკლესიის დაარსებიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

როგორც ვხედავთ, **საეკლესიო წელიწადი** რომელიც (ძვ.სტ.) პირველი სექტემბრით იწყება და 31 აგვისტოს მსახურებით მთავრდება, ქვეყნიერების შექმნიდან მეორედ მოსვლამდე დროის მონაკვეთს ეთანადება.

მეტი სიცხადისათვის **საეკლესიო ახალი წლის** დაწყების თარიღს შევეხებით:

— ზოგიერთი ცნობით, პირველი სექტემბრით საეკლესიო ახალი წლის დაწყება I მსოფლიო კრების (ნიკეა, 325წ.) წმიდა მამათა გადაწყვეტილებას მიეწერება.

— საეკლესიო ახალ წლად აღნიშნული თარიღის დადგენის მიზეზად იმასაც მოიაზრებენ, რომ ძვ. სტილით 1 სექტემბერს, შაბათ დღეს, ნაზარეთში მყოფი მაცხოვარი სინაგოგაში შევიდა და წაიკითხა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: **„სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათვის მცხო მე... ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული“ (ლკ. 4.18-19).** ამ საკითხს სავსებით ეხმიანება (ძვ. სტ.) პირველი სექტემბრის განგების ინდიქტიონის მე-2 დასდებელი: ... **„ოდესმე შენვე ნაზარეთს შინა, საწინასწარმეტყველო წიგნი ხორცშესხმულმან, ქრისტე ღმერთო, მიიღე რა აღმოკითხვად, განაღე და ასწავე ერსა, შენ ზედა აღსრულებად წერილი იგი.“**

— აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 312 წლის 1 სექტემბერს კონსტანტინე დიდმა გამანადგურებელი დამარცხება აგემა მაქსენტის, რის შემდეგაც ქრისტიანებს სარწმუნოების აღსარების სრული თავისუფლება მიეცათ. ამ მოვლენის აღსანიშნავად ვარაუდობენ, რომ ბერძნულ ეკლესიაში საეკლესიო წელიწადის ათვლა 1 სექტემბერს იწყება და იკურთხება „გვირგვინი წელიწადისა“.

და მაინც, **თეოლოგიური თვალსაზრისით** ამომწურავი პასუხი უნდა გაეცეს უმთავრეს კითხვას, თუ რატომაა დედა ეკლესიაში დადგენილი საეკლესიო ახალი წლის (ძვ. სტ.) პირველი სექტემბრით დაწყება?!

მეტი სიცხადისათვის XIV საუკუნეში მოღვაწე **წმ. გრიგოლ პალამას** სწავლებას მოვუხმობთ, რომლიც საუბრობს რა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის შესახებ, ასე გვმოძღვრავს:... „ეხლა შემოდგომაა, და უპირატესი ადგილი ამ თვეს (სექტემბერს) განეკუთვნება, რომელიც ჩვენთვის პირველი თვე და წლის დასაწყისია, **მიჯნა სადაც ჩვენი გადარჩენის საქმემ დაიდო სათავე,...** ესაა პირველი წმიდა დღესასწაული, **რასაც ჩვენი განახლება უკავშირდება,...** რადგან დღეს განგვეხსნა (**იშვა — დკ. ბ.გ.**) ახალი სამყარო და მშვენიერი სამოთხე (**ღვთის განცხადების წიაღი – დკ. ბ.გ.**), რომელშიც განკაცდა, და რომლისგანაც იშვა ახალი ადამი“...

ამგვარად, ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, შემოდგომა და მისი პირველი თვე სექტემბერი, რომელიც არის კიდეც საეკლესიო წლის დასაწყისი, იმავდროულად კავშირშია **ჩვენი ხსნის დასაწყისთან** — საღმრთო აღმშენებლობის გზასთან.

ამდენად, ცხადი ხდება, თუ რატომ დაადგინა დედა ეკლესიამ, საეკლესიო ახალი წლის (ძვ. სტ.) პირველ სექტემბერს აღნიშვნა: — **ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა გახლდათ წინკარი, კარიბჭე, იესო ქრისტეს ხორციელი მოსვლისა. იგი მოასწავებდა ცოდვისა და სიკვდილისაგან დახსნის ჟამის მოახლოებას,** რის შესახებაც სწავლება უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში. ასე მაგალითად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის განგებაში ვკითხულობთ (5):

— **„შობამან შენმან ღვთისმშობელო ქალწულო, <u>სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა</u>, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დაჰხსნა წყევა და მოგუმადლა კურთხევა, და განაქარუა სიკუდილი და მოგუანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“ (დღესასწაულის ტროპარი, ხმა 4);**

— **„დღეს ანნასაგან... <u>ღვთისმშობელი აღმოცენდა, ცხოვრებად კაცთა</u>, რომლისა მიერ ყოველთა ცხოვრების მომცემელი, იშვების ზესთა გონებისა...“ (მც. მწუხრი. უფალო ღაღადჰყავსა ზედა მე-2 დასდებელი);**

—... **„ესერა სასძლო მეუფისა, და წიგნი სიტყვისა ცხოვრებისა, მუცლისაგან უნაყოფოსა გამობრწყინდა, <u>და ბჭე აღმოსავალით იშუებს დღეს</u>, მომლოდებელი შემავალსა მღუდელსა რომელსა შევიდა განუღებელად“... (დიდი მწუხრი, უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა მე-2 დასდებელი);**

— **„დღეს ბერწისა ბჭენი განიხმიან და ქალწულებისა საღმრთო ბჭე იშუების, <u>დღეს იწყო დიდებულად აღყვავებად მადლმან</u>, და ღვთისმშობელსა სოფელსა აღმოუბრწყინვებს, რომლისაგან ქვეყანისანი ზეცისათა შეართნეს საკვირუელად“... (დიდი მწუხრი, უფალო ღაღადჰყავსა ზედა მე-4 დასდებელი);**

— **„დღეს უნაყოფო ანნა ჰშობს მშობელსა ღვთისასა,... რომლისა მიერ ხორცნი შეისხა მაცხოვარმან, <u>აღსრულებად საღმრთოსა განგებისასა</u>“... (დიდი მწუხრი, უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა ბოლო დასდებელი);**

— **<u>„დასაბამი ცხოვრებისა ჩვენისა დღეს იქმნა</u> კრებულნო მორწმუნეთანო“... (დიდი მწუხრი, ლიტანიასა ზედა პირველი დასდებელი);**

— **„გვაუწყე ჩუენ დავით, რასათვის გეფუცა შენ ღმერთი, ხოლო იგი ღაღადებს, <u>რასათვის იგი მეფუცა აღმისრულა</u>, რამეთუ აჰა ესერა მუცლისა ჩემისაგან მომცა ქალწული, რომლისაგან ახალი ადამ ქრისტე დამბადებელი იშვების ხორციელად“... (დიდი ცისკარი, წარდგომა შემდგომად პირველი ფსალმუნებისა);**

— **<u>„დღეს ხიდი ცხოვრებისა იშუებს</u> რომლისა მიერ კაცთა ჰპოვეს აღმოწოდებაი ჯოჯოხეთით“... (საცისკრო კანონთა I გალობის, I კანონის ბოლო ტროპარი).**

და მრავალი სხვა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საეკლესიო წლის დასაწყისი — ძვ. სტილით 1 სექტემბერი, ანუ **გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტისა,** რომელიც 16 საუკუნეა უცვლელია, იმაზეც მეტყველებს, რომ მას სულიერი საზრისი გააჩნია და მარადიულ ღირებულებებზეა ორიენტირებული — ყოველი ადამიანის ხსნასა და ცათა სასუფევლის დამკვიდრებაზე, განსხვავებით სამოქალაქო ახალი წლისა, რომელსაც მიწიერი, ამქვეყნიური საზრისი აქვს.

ამგვარად, თითოეული მორწმუნე აცნობიერებს რა ამ დღის მნიშვნელობას, ჯეროვნად უნდა მოემზადოს მის შესახვედრად, რისთვისაც ლოცვა, მარხვა, წმიდა წერილის კითხვა, აღსარება, ზიარება და ღვთივსათნო საქმეთა აღსრულებაა საჭირო.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკის ლექტორი დეკანოზი ბიძინა (გუნია)



ლიჯნავაძე მაჰმადიშვილი

ჩვენი ავტორები

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი